პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 58 (5608)
1976 წ.
24 მარტი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი

საკალათბურთო მარათონის ფინიში

ტალინი, 22 მარტი. დღეს დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. ბოლო მატჩებს არსებითი არაფერი შეუცვლია სატურნირო ცხრილში.

თბილისის „დინამო“ დამარცხდა კაუნასის „ჟალგირისთან“ — 67:75 (31:33). ეს დინამოელთა მეხუთე წაგებაა ტალინში. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სტროიტელი“ (კიევი) — რტი (მინსკი) 95:72 (47:42), ასკ (რიგა) — ფისკ (ერევანი) 85:64 (43:30), „სტატიბა“ (ვილნიუსი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 89:72 (40:38), „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“ (ტარტუ) 91:81 (44:45), ცსკა — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 82:72 (36:44).

რამდენიმე სიტყვა ამ ბოლო მატჩზე, რომელსაც არავითარი გავლენა არ მოუხდენია გუნდების საბოლოო მდგომარეობაზე. ცსკა ისედაც ჩემპიონი იყო. და მაინც, ბრძოლა მეტად მძაფრი გამოდგა. ლენინგრადელებმა ტაიმი 8 ქულით მოიგეს. ისინი წინ იყვნენ 35-ე წუთამდე, მაგრამ არზამასკოვის რამდენიმე უზუსტო სროლამ არმიელებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. ბოლო 5 წუთი ბრწყინვალედ ჩაატარა ს. ბელოვმა. მისმა სნაიპერულმა სროლებმა საბოლოოდ გატეხა შარშანდელი ჩემპიონის საბრძოლო სული. ცსკა-მ წინა სეზონში დამარცხებისთვის რევანში აიღო.

ახალი ჩემპიონი უდავოდ მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე, განსაკუთრებით თავდასხმაში. არმიელებმა 15 შეხვედრა მოიგეს 100-ზე მეტი ქულით, ხოლო ყოველ მატჩში საშუალოდ 101 ქულას იღებდნენ. აი, როგორ შეაფასეს ცსკა-ს თამაში სპეციალისტებმა:

ს. ბუტაუტასი (სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი): „ცსკა ამ სეზონისთვის ბრწყინვალედ მოემზადა. მას აქვს შეთანხმებული და უაღრესად მძლავრი მექანიზმი“.

ა. ბლიკი (მოსკოვის „დინამოს“ კაპიტანი): „ასეთი ძლიერი გუნდი სსრ კავშირში არასდროს ყოფილა“.

ა. კიაბი (საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი): „ცსკა მომავლის გუნდია“.

საინტერესოა რას ფიქრობს თავისი კოლექტივის წარმატების შესახებ არმიელთა უფროსი მწვრთნელი ა. გომელსკი. „გუნდში საუკეთესო მოთამაშე, — თქვა მან, — უდავოდ ჟარმუხამედოვი იყო. კარგად ჩაატარა მთელი ტურნირი ყველაზე სწრაფმა მოთამაშემ ერიომინმა. იგი გუნდის „მოტორია“. სასარგებლოდ მოქმედებდა ედეშკო. დიდი დახმარება მოუტანა კოლექტივს პეტრაკოვმა. როგორც მუდამ, მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ სერგეი ბელოვი და მილოსერდოვი. ნაყოფიერად თამაშობდნენ კოვირკინი და ევგენი კოვალენკო. დიდი დახმარება გაუწია გუნდს სერგეი კოვალენკომ“.

ლენინგრადის „სპარტაკი“, ახლა უკვე ექს-ჩემპიონი, როგორც მუდამ, ძლიერი იყო დაცვაში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სპარტაკელებმა ყველაზე ცოტა ბურთი მიიღეს (1517).

მოსკოვის „დინამოს“ III ადგილი უდავოდ დიდი წარმატებაა. მაგრამ დინამოელები, სპეციალისტების აზრით, ბოლომდე ვერ იყენებენ ცალკეულ მოთამაშეთა ბრწყინვალე ფიზიკურ მონაცემებს.

„სტროიტელმა“ და „ჟალგირისმა“ თანაბარი ქულები დააგროვეს, მაგრამ უპირატესობა მიენიჭათ კიეველ კალათბურთელებს, რომლებსაც ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსი აქვთ. „სტროიტელს“ შეეძლო უკეთეს შედეგებზე ფიქრიც, მაგრამ ბოლო მატჩებში აშკარად დაიღალა გუნდის მთავარი სნაიპერი სალნიკოვი. დაღლა ეტყობოდა ტკაჩენკოსაც.

43-ე ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი სენსაციაა ვილნიუსის „სტატიბას“ VI ადგილი. ამ ახალგაზრდულ კოლექტივს ჰყავს ტექნიკური კალათბურთელები. და მაინც, უნდა ვთქვათ, რომ „სტატიბას“ წლეულს აშკარად სწყალობდა ბედი. მის შემადგენლობაში ყველაზე მეტად გამოირჩევა გირსკისი. ტყუილად როდი ჩარიცხეს იგი სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა სიაში.

თბილისის დინამოელთა სუსტი თამაში ამ ტურში მნიშვნელოვანწილად ცალკეულ მოთამაშეთა ავადმყოფობამაც განაპირობა. გუნდის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე მ. ქორქია კვლავ ჩარიცხულია სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა სიაში.

მინსკის რტი და რიგის არმიელები კმაყოფილი უნდა იყვნენ შედეგებით. ეს განსაკუთრებით ითქმის რიგის არმიელებზე, რომელთა მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენა იყო. ლატვიელმა კალათბურთელებმა რამდენიმე მატჩი (მათ შორის შეხვედრა კაუნასის „ჟალგირისთან“) ბრწყინვალედ ჩაატარეს.

სერიოზულ კრიზისს განიცდის ტარტუს „კალევი“ — ესტონეთისა და საბჭოთა ქვეყნის ერთ დროს საუკეთესო კოლექტივი. „კალევში“ მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს თაობათა ცვლის პროცესი და სანამ იგი თავს არ დააღწევს ამას, ძნელია სტაბილურ თამაშზე ფიქრი.

უმაღლესი ლიგა დატოვა ერევნის ფისკ-მა, რომელმაც მთელი ტურნირის მანძილზე ერთადერთი შეხვედრა მოიგო.

„ლელოს“ მიმომხილველი.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	22	21	1	2221—1653	21
„სპარტ.“	22	18	4	1783—1517	18
„დ.“ მ.	22	16	6	1755—1653	16
„სტროი.“	22	15	7	1813—1632	15
„ჟალგ.“	22	15	7	1816—1657	15
„სტატ.“	22	11	11	1774—1821	11
„დ.“ თბ.	22	10	12	1696—1787	10
რტი	22	9	13	1700—1788	9
ასკ	22	7	15	1638—1743	7
„კალევი“	22	6	16	1686—1834	6
„ურალმ.“	22	3	19	1617—1976	3
ფისკ	22	1	21	1556—1994	1

[illegible] ტელეფონით

გუშინწინ ბელგრადში დამთავრდა 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილიც მონაწილეობდა. გუშინ „ლელოს“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ნ. გაფრინდაშვილს და გამარჯვება მიულოცა.

ნონა პირველია

— გმადლობთ მოლოცვისთვის, — თქვა ნონამ. — დასკვნითს, XIII ტურს პირველი ოთხი ადგილის განაწილებაში რაიმე ცვლილება არ შეუტანია. ეს მანამდე მოხდა. ამიტომ იყო, რომ მე და ვერეცი სწრაფად დავუზავდით კალხბრენერსა და შტადლერს. ივანკამ სცადა გაესწრო ლემაჩკოსთვის, როცა ივანიჩს შეუტია და გაიმარჯვა. მაგრამ ლემაჩკომაც ენერგიულად ითამაშა და მოუგო ბოჟკოვიჩს. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: მარკოვიჩმა დაამარცხა მურეშანი, ერენსკამ — ვუინოვიჩი. დაზავდნენ პიხაილიჩ — ნოვაკოვიჩი.

ვინც ცხრილს ავსებს, მათთვის საინტერესოა წინა ორი ტურიდან გადადებული პარტიების შედეგები, — განაგრძო ნონამ. — XI ტურიდან გადადებულ პარტიაში კალხბრენერმა მოუგო ვუინოვიჩს. XII ტურის პარტიებში ლემაჩკომ სძლია მურეშანს, ივანიჩმა — ვუინოვიჩს, ხოლო მარკოვიჩი და ნოვაკოვიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, სატურნირო ცხრილი საბოლოოდ ასეთია: I. გაფრინდაშვილი — 11 ქულა, II. ვერეცი (უნგრეთი) — 10, III. ლემაჩკო (ბულგარეთი) — 9,5, IV. ივანკა (უნგრეთი) — 9, V-VI. კალხბრენერი, შტადლერი — 7,5-7,5, VII-VIII. მარკოვიჩი, პიხაილიჩი (ორივე — იუგოსლავია) — 7-7, IX. ერენსკა (პოლონეთი) — 6, X. მურეშანი (რუმინეთი) — 5,5, XI. ვ. ნოვაკოვიჩი — 5, XII-XIII. ივანიჩი, ბოჟკოვიჩი — 2,5-2,5, XIV. ვუინოვიჩი (ყველა — იუგოსლავია) — 1.

გერაშიც გვასახელეს

როგორც ვიუწყებოდით, ტალინში გამართულ სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა ტრადიციულ XV მატჩში წარმატება მოიპოვა თბილისელმა ი. კუშპელიოვამ. ამ შეჯიბრების პარალელურად გდრ-ის ქალაქ გერაში გდრ-ისა და სსრ კავშირის მოცურავეთა მეორე ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს ასევე ტრადიციულ, ოღონდ VII მატჩში. სარბიელზე ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეებიც გამოდიოდნენ. ბათუმელმა იგორ ომელჩენკომ ყველას აჯობა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში. მისი შედეგი — 1.00,27 — სსრ კავშირის რეკორდია ჭაბუკებისთვის.

ი. ომელჩენკომ 200 მეტრზეც სცადა ძალა და მოგილიოველი ი. მიკულიცკის შემდეგ მეორე იყო ფინიშთან. მიკულიცკიმ სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა — 2.08,4. ომელჩენკოს შედეგია 2.10,5.

ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ი. პოტაპოვა 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საუკეთესო იყო საბჭოთა სპორტსმენთა შორის — III ადგილები მოიპოვა. 400 მეტრზე მას აჯობეს გდრ-ის მოცურავეებმა რ. ეგერმა (4.25,11) და ბ. ვეტლერმა (4.26,85). ინვას შედეგია 4.35,06. ვეტლერი უძლიერესი აღმოჩნდა 800 მეტრზე ცურვაშიც — 8.59,43. მეორე იყო მ. ალტმანი — 9.18,03. პოტაპოვას შედეგია 9.25,96.

დასკვნები არ გაუკეთებიათ

მეთხუთმეტე წელია საბჭოთა კავშირში მძლეოსნური სპორტული სეზონი იწყება კროსებით გაზეთ „პრავდის“ პრიზზე. ეს ასპარეზობა ფიზკულტურის კოლექტივებში იღებს სათავეს. მერე რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური შეჯიბრებები ეწყობა, ბოლოს კი — საკავშირო ტურნირის ფინალი.

1971 წლამდე კროსები მოსკოვში ეწყობოდა. მაგრამ შემდეგ ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ასპარეზობანი მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში ჩაეტარებინათ. „პრავდის“ კროსი უკვე მოეწყო კიშინიოვში, ვილნიუსში, ფრუნზეში. შარშან იგი ჩვენს რესპუბლიკასაც ეწვია — 20 აპრილს თბილისის იპოდრომზე გამართულ შეჯიბრებაში შეამოწმა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა დიდი ქალაქების, სპორტსაზოგადოებების მიერ გაწეული მუშაობა.

XIV საკავშირო კროსისთვის მზადებას ჩვენს რესპუბლიკაში უკვალოდ არ ჩაუვლია. საქართველოს მძლეოსნებმა უწინდელზე უკეთეს შედეგებს მიაღწიეს, მაგრამ თბილისის იპოდრომზე გამართულმა შარშანდელმა შეჯიბრებამ ჩვენი სპორტსმენების მზადებაში მაინც ბევრი ხარვეზი გამოავლინა.

მოსალოდნელი იყო, რომ თბილისის საწარმოებისა და დაწესებულებების, სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივები, სპორტკლუბები, დედაქალაქის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ, ახალი სეზონისთვის უფრო კარგად მოემზადებოდნენ და ბრძოლაში პირველივე სტარტებიდან ჩაებმებოდნენ, მაგრამ ასე როდი მოხდა. ეს დაადასტურა კვირას თბილისის იპოდრომზე გამართულმა საქალაქო პირველობამ, რომლის მიზანი „პრავდის“ პრიზზე რესპუბლიკურ კროსში (28 მარტს ბათუმში ჩატარდება) მონაწილეობისთვის გუნდის წევრთა შერჩევაც იყო.

ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტს მხარში ამოუდგა პარტიის საქალაქო კომიტეტი. ასპარეზობის ორგანიზაცია უნაკლო იყო, მაგრამ გუნდების უმეტესობის შედეგები კვლავ არასახარბიელო გამოდგა. გამოირკვა, რომ ფიზკულტურის კოლექტივებში პირველი ეტაპის შეჯიბრებები არ გამართულა. გარდა ამისა, დედაქალაქის ბევრი რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებსაც არ შეუწუხებიათ თავი რაიონული ტურნირების ჩატარებით — საქალაქო პირველობაში მათ სახელდახელოდ თავმოყრილი სპორტსმენები გამოიყვანეს, რომლებსაც არც სათანადო ფიზიკური მომზადება აღმოაჩნდათ, არც იპოდრომის წრეზე რბენის სურვილი. კროსის 300-მდე მონაწილიდან თითქმის 30 პროცენტი შეჯიბრებისთვის აშკარად მოუმზადებელი იყო და რამდენიმე ათეული მეტრის გარბენის მერე გზას სიარულით აგრძელებდა (რაც შეჯიბრების წესებით დაუშვებელია) ან საერთოდ ტოვებდა სარბიელს. მაგალითად, 1000 მეტრზე რბენაში 48 გოგონა ჩაება, მაგრამ ფინიშამდე 22 ვერ მივიდა...

შედარებით უკეთესი შედეგები ჰქონდათ 3000 მეტრზე მორბენალ იუნიორებს, 8000 და 14000 მეტრზე საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს. მაგრამ, თუ ამ შედეგებს საკავშირო სტანდარტებს შევადარებთ (თუნდაც XIII კროსის მაჩვენებლებს), 3000 მეტრზე მორბენალი ვერც ერთი თბილისელი იუნიორი, 8000 მეტრზე რბენის ვერც ერთი მონაწილე უძლიერესთა ოცეულებშიც კი ვერ მოხვდება.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლა ფაქტიურად ორჯონიკიძისა და საქარხნო რაიონების გუნდებს შორის გაჩაღდა. სულ გათამაშდა 27 საპრიზო ადგილი. აქედან ორჯონიკიძის რაიონის სპორტსმენებმა მოიგეს 13 საპრიზო ადგილი, საქარ-

(დასასრული მე-4 გვ.).

* * *

სურათზე: 5000 მეტრზე მორბენალი ვაჟების შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

შემთხვევა მკვეთრ მოსახვევში

ანუ რა მოხდა ერთხელ საერთაშორისო ავტორალის ტრასაზე

ჩემპიონი... იგი დამპყრობია არა მარტო საპატიო კვარცხლბეკისა — გამარჯვების პიკისა, არა მარტო რეკორდებისა, არამედ ადამიანთა გულებისაც.

ჩემპიონებს — მათს სახეებს, მათს ბედს მილიონობით თვალი აკვირდება... როდის უფრო საინტერესოა ჩვენთვის იგი, ჩემპიონი? სახელდობრ რით არის საინტერესო? „ყველაფრით", — შესძახებს რომელიმე თავგამოდებული თაყვანისმცემელი. და მისი ინტერესების პატივისმცემელი ჟურნალისტებიც ჩემპიონს სეტყვასავით აყრიან შეკითხვებს: რომელი ფერი გიყვართ ყველაზე მეტად? რომელი კერძი? წლის რომელი დრო? ჩემპიონი მორჩილად იძლევა პასუხს, სახის გამომეტყველებასა და ხმაში კი ხშირად აშკარად გამოსჭვივის გაოცება: არ ესმის, რაში სჭირდებათ ამისი ცოდნა სხვებს?

მაგონდება ცნობილი მწერლის სიტყვები: კოლუმბი მაშინ კი არ იყო ბედნიერი, როცა ამერიკა აღმოაჩინა, არამედ თვით ამერიკის აღმოჩენის დროსო. ალბათ სპორტშიც ასეა: კვარცხლბეკზე ასვლა ჩემპიონისთვის მრავალთაგან ერთი გამარჯვებაა. მაგრამ რამდენია სხვა, „თანამგზავრი" გამარჯვება?

ახლა მე გიამბობთ, როგორ მოიპოვა ალექსანდრე კარამიშევმა თავის ცხოვრებაში ალბათ ყველაზე დიდი გამარჯვება — „მონტე-კარლოში". შეიძლება საქმეში ჩახედული ხალხი შემომედაოს, ამ რალიში ჯერ არც ერთ საბჭოთა ეკიპაჟს არ მოუპოვებია გამარჯვებაო. მართალია, ოღონდ ნაწილობრივ. გამარჯვება უფრო რთული რამაა, ვიდრე, უბრალოდ, პირველი ადგილი.

ავტორალი განრიგით რბოლაა. შეჯიბრების მთელ სირთულეს სწორედ ის ქმნის, რომ საჭიროა უდიდესი სიზუსტე. გზა ძალიან გრძელია. მრბოლელები ზოგჯერ ორ დღესა და სამ ღამეს ვერ გადმოდიან მანქანიდან. ძნელი გზა, ავარიები, ნერვული დაძაბულობა... ერთი სიტყვით, მოძრაობა — ეს სიცოცხლეა; მიზანთან ზუსტად დათქმულ დროს მისვლა — ხელოვნება.

რალი „მონტე-კარლო". 5500-კილომეტრიანი გზა. ესეცაა, ზოგისთვის იგი უფრო მოკლე აღმოჩნდა: დისტანცია დატოვეს. ამგვარ უიღბლოებზე რალის მონაწილენი იტყვიან ხოლმე, იპოვეს თავისი ხეო. არ ეყოთ კლასი, თავი იჩინა გამოუცდელობამ, უღალატათ ნერვებმა, მანქანებმა... მარცხი ელოდა „ვოლგის" ეკიპაჟსაც — რიგელებს ალექსანდრე კარამიშევს და გუნარ ციმერმანსაც. ოღონდ მათს მარცხს ზემოთ ნახსენები ვერც ერთი მიზეზით ვერ ახსნი.

...ეს იყო ბოლო სამთო ეტაპი — 800 კილომეტრი საფრანგეთის ალპებში. მოკლე, მაგრამ ჩქაროსნული ეტაპი. ვინ უფრო სწრაფად? მერე სად — მთებში! ბარდნიდა, უკუნი ღამე იყო. თუმცა კარამიშევს — იგი საჭეს უჯდა — უყვარდა მთებში ღამით სიარული. ასეთ დროს პერსპექტივა თითქოს სიბნელეშია ჩამალული. დამალულია ხრამებიც, რომელთა მარტო დანახვაც კი ნერვებს უშლის ადამიანს. ყოველმა მრბოლელმა იცის, რომ აქ გზა ვიწროა, უფსკრულზე გადის, მაგრამ თვალით დანახვა მაინც უფრო ძლიერ მოქმედებს.

აი, თოვლი კი... ის სიბნელეზე მეტად აბრმავებს კაცს და, რისი დანახვაც აუცილებელია, იმასაც უჩინარს ხდის. ფარების სინათლე უძლურია ამ თეთრი კედლის წინაშე. მაგრამ საჭიროა სისწრაფე. და მანქანები, თითქმის ბედის ანაბარა დარჩენილნი, ზედ უფსკრულის პირზე მიქრიან. ეს ბოლო სამთო ეტაპია. მერე და მერე გზა გაიოლდება, მაგრამ იქამდე ხომ მისვლაა საჭირო.

მოსახვევს მოსახვევი მოსდევს. როცა მთას ასეთი სისწრაფით უვლი გარს, თავი თითქოს უკუღმა გასროლილი შურდული გგონია. ნამდვილი სისწრაფე სადღაც უსაფრთხოების საზღვრებს მიღმაა, იქ, სადაც გამოცდილის ოსტატობა იწყება. ისინი სწორედ გამოცდილი-რალისტები არიან, თუმცა ტრასაზე დიდი ხნის გამოცდილი მანქანები გამოდიან. შემთხვევითი როდია, რომ დიდი რალის შემდეგ მრბოლელებს ავტოქარხნებში იწვევენ... მანქანათა ბევრი დეტალი სწორედ მათი რჩევის მიხედვით იხვეწება.

მოსახვევი, მოსახვევი, მოსახვევი... კარამიშევს თეთრხელთათმნიანი ხელები საჭეზე ედო. ორმა მრბოლელმა ერთდროულად დაინახა გზაზე შავი ლაქა — ადამიანი, და იმავე წამს, მთასთან უფრო ახლოს — მეორე. დაინახეს და მყისვე ყველაფერს მიხვდნენ (რალისტებს უტყუარი რეაქცია აქვთ). სტარტიდან მათს წინ წასული მანქანა ცხვირით კლდეს შენარცხებია და ახლა მრბოლელები მთელი სხეულით აწვებიან, ცდილობენ ქვებიდან ჩამოაგდონ, გზაზე დააყენონ. საწყლებს საფრთხე სულ დავიწყებიათ. განსაკუთრებით იმას, უკან რომ დგას, საბარგულთან. მას, თუ მეტი არა, გზის ნახევარი მეტრი მაინც დაუკავებია. საკმარისი იყო ერთი ნაბიჯი, ერთადერთი ნაბიჯი უკან გადმოედგა, რომ „ვოლგის" ეკიპაჟს არჩევანი აღარ ექნებოდა... ათი მეტრი, ხუთი... იქნებ უცებ მაგრად დააჭიროს მუხრუჭს? მაინც ვერ მოასწრებს განზე გახტომას. უკვე ადგილზე გაიყინა, დაკარგა შესაფერი წამი სიკვდილის გარდუვალობით რეტდასხმულმა. მაშ, სადაა გამოსავალი? მარჯვნივ — მკვეთრად, მაგრამ მარჯვნივ ხომ უფსკრულია.

როცა მანქანა მარჯვნივ მიაგდეს და სიჩქარეს უმატეს, რათა იმ კაცისთვის დარტყმა აეცდინათ, კარამიშევსა და ციმერმანს ერთი რამ ჰქონდათ შეგნებული: რისკი დიდი იყო, მაგრამ მხოლოდ პირადად მათთვის, ორისთვის. როცა დადგა საკითხი, ვისი სიცოცხლე უნდა შეეგდოთ სასწორზე — თავისი თუ სხვისი, მათ თავისი გასწირეს. სჯობს შენი ბედის გამგებელი იყო, ვიდრე სხვა დაღუპო... ფიქრობდნენ, მოვასწრებთ გასხლტომასო. იმ წუთში სისწრაფის იმედი ჰქონდათ. დიახ, სისწრაფე მუდამ საფრთხეს ნიშნავს, მაგრამ ზოგჯერ მასში ხსნის გზაც არის. ის, რაც ნელი სვლის დროს დაუძლეველია, დიდი სისწრაფის წყალობით მისაწვდომი ხდება.

კარამიშევმა მოასწრო შეენიშნა, რომ გზა უფრო განიერი იყო, ვიდრე მას ეგონა, ჩვეულებრივ სამთო გზებზე განიერი. მაგრამ იქნებ ილუზია იყო ეს, მანუგეშებელი, დამაწყნარებელი ილუზია, რაც არც ისე იშვიათად გვახვევს თავბრუს გამოუვალ წუთებში? ან იქნებ არც ცდებოდა? იქნებ ქვებზე გადაკრულმა სველმა თოვლმა გაზარდა ბრტყელი სივრცე უფსკრულის თავზე? მაგრამ სასწაული არ მოხდა: წამიც და „ვოლგა" უფსკრულისკენ მიფრინავდა.

მათ ერთდროულად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გადაწყვიტეს ეს — გადაერჩინათ ის ადამიანები, და ერთად შეჰყვირეს: „მარჯვნივ!" ყველაზე უჩვეულო მათს გადაწყვეტილებაში... არის ჩვეულებრივობა ამ სურვილისა — არ მიაყენო ზიანი მეორეს. ყველაზე ძნელიც სწორედ ესაა — „ჩვეულებრივ" მოიქცე არაჩვეულებრივ შემთხვევაში, არ უღალატო შენს მრწამსს თვით დაღუპვის საფრთხის დროსაც კი. ერთი ეკიპაჟის წევრი ორი უბრწყინვალესი ოსტატიც კი ჯერ კიდევ არ არის გუნდი. მაგრამ ეს ორნი მთელი გუნდი იყვნენ...

სპორტში გატარებული მეოთხედი საუკუნის მანძილზე კარამიშევს სულ რამდენიმე მეწყვილე ჰყავდა: ძნელად ევუებოდა ადამიანებს და კიდევ უფრო უჭირდა განშორება. დიდხანს თავის თანაკურსელ (ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა, სპეციალობით ტექნიკოს-ელექტრიკოსია) ალექსანდრე ბუშმანისთან ერთად გამოდიოდა, მერე — გუნარ ციმერმანთან, შოფერთან.

ტრასიდან რიგაში გაფრინდა ცნობა: ავარია. ეს ამბავი კარამიშევის მეუღლემ ძიდრამაც გაიგო. მან იცოდა, რომ იქ, ტრასაზე, ეკიპაჟი საჯარიმო ქულების გარეშე მიდიოდა, ლიდერთა შორის იყო. მიზნის მიღწევის შესაძლებლობა კი გამარჯვებას განსაკუთრებით სასურველს ხდის.

საფრანგეთის ალპებში კი ამასობაში აი, რა მოხდა: „ვოლგა" მთას მოსწყდა. მრბოლელებმა შეშინებაც კი ვერ მოასწრეს, თუმცა შიში ბგერაზე სწრაფია, რომ ამოყირავებული მანქანა ერთ ადგილზე გაიყინა. ძრავა მიჩუმდა, სახურავი ჩაიჭეჭყა და მანქანა მაგრად დაჯდა. ღვედებით დაკრული მრბოლელები თავდაყირა ეკიდნენ, მაგრამ პირველ ყოვლისა სინათლე გამორთეს — ხანძარი არ გაჩნდესო. მერე ყური მიუგდეს სიბნელეს, რაღაცას ელოდნენ... გავიდა წამი. უკვე იმას ფიქრობდნენ, მანქანა როგორ ავიტანოთ და შეკეთება დავიწყოთო. ყველაზე საოცარი ეს იყო: არც ერთს არ უფიქრია, ასე როგორ გადავრჩით, რომ ბეწვიც არ შეგვრხევიაო.

...ერთი კარი ვერ გააღეს, კლდეზე იყო მიჭყლეტილი. მეორე დამორჩილდათ. გააღეს. მანქანაში ალპების ღამის სუსხი შეიჭრა. „მომილოცავს დაბადების დღე, საშა", — უთხრა ციმერმანმა. უცებ გაახსენდა, რომ 18 იანვარი იყო. კარამიშევს 37 წელი შეუსრულდა.

„შენც გილოცავ", — მიუგო კარამიშევმა და ორივემ ხმადაბლა გაიცინა.

კარამიშევმა მანქანიდან ფეხები გადაკიდა და ფრთხილად მოსინჯა ჰაერი, დასაყრდენს ეძებდა. მაგრამ მის ფეხქვეშ სიცარიელე იყო. მრბოლელები მანქანიდან გამოძვრნენ და ხეს მოეჭიდნენ, რომელმაც მანქანა გადაარჩინა („თავისი ხე იპოვეს"). როგორც იქნა, მთის ქვიან გზაზე დადგეს ფეხი, იმ გზაზე, სადაც ამ რამდენიმე წუთის წინათ მიქროდნენ. არავინ ჩანდა. ისინი რაღა იქნენ? აღარც ადამიანები იყვნენ, აღარც მანქანები. ხედავ? წასულან, ახლაღა მიხვდნენ, რის გაგონებას ელოდნენ, სიჩუმეში სმენად ქცეული რომ იცდიდნენ: ის ორნი გამოგვეხმაურებიან, მოგვეშველებიანო. მაგრამ „მონტე-კარლომ" თავისი სახე გამოაჩინა. ესაა ავტომანქანების ბრძოლა — ბრძოლა მუშტრებისთვის, კონკურენციის უკიდურესი დაძაბულობა, რომელსაც ამდენ ხოტბას ასხამენ მესაკუთრეთა წრეში. მაგრამ აი, რა ხდება ზოგჯერ: ზოგიერთი მრბოლელი, ასე ვთქვათ, ფირმის ინტერესებისთვის მზადაა დაივიწყოს, რომ თვითონ ადამიანია.

გზაზე მოძრაობა, სანამ რალის ყველა მონაწილე არ ჩაივლიდა, სახიფათო იყო. სიცივისა და ქარისგან თავის დასაცავად ისევ მანქანას დაუბრუნდნენ. ...უცებ ძლიერი ბიძგი იგრძნეს. „ვოლგა" ადგილზე ცეკვავდა, აქეთ-იქით ირწეოდა, თითქოს ბედის სასწორზე ქანაობსო.

რამდენჯერ შურით უთქვამთ: მთელი ევროპა შემოვლილი გაქვთ, ნახევარი აფრიკა თქვენი მანქანის ბორბლებითაა დასერილი, დიდი სპორტი მთელი სამყაროს კარს გიღებთო... იგი თავაზიანად იღიმებოდა. ესაა, რომ ბოლო შეჯიბრებებში იგი შტურმანად იყო.

ორი სამყარო —

წარმოთქვამ შტურმანის მონოლოგს: „ოცდაათი ტრამპლინი ორასი". მრბოლელი ერთიანად ყურადღებად იქცევა: ოცდაათი მეტრის შემდეგ გზა „ტყდება", პერსპექტივა ქრება. სწორედ ესაა „ტრამპლინი". შემდეგი ორასი მეტრი სწორი გზაა, მერე კი: „ორმოცდაათი ტრამპლინი მარცხენა, მეოთხე სახიფათო". აქ ფხიზლად უნდა იყო, მეოთხე მოსახვევისთვის მოემზადო. მაშ ასე, ერთი ქვეყნიდან — მეორეში. რას იზამ, დრო არ გრჩება, რომ გზის ლეგენდას და სისწრაფის სტენოგრამას მოსწყდე... ო, იტალია! მახსოვს საშინელი გვერდითი ქარები ქროდა... ო, იორდანია! კინაღამ დავიხრჩეთ უდაბნოში. ო, საბერძნეთი! ო, სახელგანთქმული ქალაქი მარათონი! იქ „აკროპოლისის" შეჯიბრებაში სტარტამდე რაღაც 42 კილომეტრი და 195 მეტრი რჩებოდა. სირბილით კი არა, მანქანით. სასაცილოა, არა? მაგრამ ამ დროს ზეთის ტუმბო გამოვიდა მწყობრიდან. ძრავამ „დააკაკუნა"... წარმოიდგინეთ, ავტოსერვისიდან ერთ ბერძენს ისე ეწყინა, აქვითინდა, მანქანაზე დაემხო და ცრემლები კაპოტზე მოწანწკარებდა. ისე უნდოდა ჩვენი გამარჯვება... ვინ იცის, იქნებ მაშინ ეკიპაჟი ფინიშამდე მისულიყო, ცოტა ხნით ადრე ავარიაში მოყოლილნი საავადმყოფოში რომ არ გადაეყვანა და ამით გზა არ გაეგრძელებინა.

რყევა ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო. ისევ გამოძვრნენ მანქანიდან და დაინახეს, რომ... კიდევ ორი კაცი გადაერჩინათ. ეს უკვე შემთხვევით. მარ[illegible] „[illegible]ფორდი" იყო დაკიდებული, რაღაც სასწაულით მის ბორბლებს ჩასჭიდებოდა. ინგლისელი მრბოლელები მოსახვევში ვერ „ჩატეულიყვნენ" და მანქანა უფსკრულში ვარდებოდა... ოთხი ქუდბედიანი რალისტი ერთად ამოვიდა გზაზე. ერთად მიაშურეს უახლოეს სოფელ ენტრემონტს. გზად კიდევ ორი ხელმოცარული შემოხვდათ — ავსტრიელები, „შტაიერ — პუხის" ფირმის მანქანით. ახლა მათ მარტო ჟესტებით აღარ უხდებოდათ ლაპარაკი. ინგლისელები მხურვალე მადლობას უხდიდნენ საბჭოთა სპორტსმენებს, ავსტრიელები მათს სიტყვებს გერმანულად თარგმნიდნენ, კარამიშევმა კი გერმანული მშვენივრად იცის... დილით ავტოამწეთი მოვიდნენ ავარიის ადგილზე. მანქანები ნახევარკილომეტრიანი უფსკრულის თავზე ეკიდა. ის ხე კი ერთადერთი იყო რამდენიმე ასეულ მეტრში.

იმ დილით კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ ის მრბოლელები მოვიდოდნენ, მადლობას ეტყოდნენ, ხელს ჩამოართმევდნენ. არა, არავინ მოსულა... მაგრამ იმათი ცუდკაცობა განა ამცირებს საბჭოთა მრბოლელთა საქციელის მნიშვნელობას? ადამიანის გადარჩენა — განა ეს გადამრჩენისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გადარჩენილისთვის? სპორტსმენი გამარჯვებისთვის ცხოვრობს, მაგრამ ზოგჯერ წაგებას მეტი ნებისყოფა და სულის ძალა სჭირდება, ვიდრე მოგებას.

ამჯერად გამარჯვებულთა ჯილდო მედალი კი არა, ადამიანთა გადარჩენა იყო. როცა იმ კრიტიკულ მომენტში ვაჟკაცობა გამოიჩინეს, ისინი ჰუმანური პრინციპების ერთგულნი დარჩნენ. და ასე მგონია, რომ პირადად მათთვის შემთხვევის ბედნიერი დასასრული ასევე ჯილდო იყო, სიმტკიცისთვის ბოძებული. სპორტში შემდგომ მოპოვებული წარმატებებიც თითქოს ჯილდოდ მიიღეს.

კარამიშევი თავმოყვარე კაცია. მას მუდამ სურდა მსაჯთა ოქმებშიც პირველი ყოფილიყო. საამისოდ პირადი მოტივებიც ამოძრავებდა: არ უნდოდა ცოლს ჩამორჩენოდა. ეს კი ადვილი საქმე როდი იყო. მისი ცოლი წარსულში ცნობილი კალათბურთელია (ახლა სახელგანთქმული ტტტ-ს ერთ-ერთი მწვრთნელი); ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. კარამიშევს სურდა ცოლს გამარჯვებული ეხილა და ესეც ერთი მძლავრი სტიმული იყო.

და ისიც იმარჯვებდა. ორჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი. საბჭოთა რალისტების ტრიუმფი 1974 წლის „ევროპის ტურში" პირველ ყოვლისა მის სახელთანაა დაკავშირებული (ისევე როგორც ვილნიუსელ სტასის ბრუნძასთან). „პროგნოზები მცდარი გამოდგა: რალი რუსებმა მოიგეს", — წერდა მთელი მსოფლიოს პრესა.

კარამიშევმა მილიონ კილომეტრზე მეტი გაიარა, სანამ ამ გამარჯვებამდე მივიდოდა.

ა. პლუტნიკი.
(„იზვესტია").

სპორტის სასახლის მისასვლელთან

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკურმა ავტომოტოსპორტკლუბმა და საქართველოს ავტო-მოტომოყვარულთა საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭომ გასულ კვირას ჩაატარეს ავტომოყვარულთა ასპარეზობა პირადი მფლობელობის „ჟიგულებით" სწრაფად მანევრირებაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველი ძალიან ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ორგანიზატორებმა სტარტზე მხოლოდ 35 ეკიპაჟი დაუშვეს. თითოეულ მათგანს სტარტიდან ფინიშამდე 10 ფიგურა უნდა გაევლო. ამ შეჯიბრებაში მოწმდებოდა მოყვარული შოფრების ალღო, მოხერხება და სისწრაფე. ფიგურების გავლისას ყოველი დგამის წაქცევისთვის მოასპარეზეს საჯარიმო ქულები ეწერებოდა, გაბარიტები კი მართლაც ვიწრო იყო.

თავდაპირველად დაწინაურდა უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი მ. თუხარელი, რომელიც ლენინის რაიონის გუნდის ინტერესებს იცავდა. მან მთელი ტრასის გავლას 2 წუთი და 32 წამი მოანდომა და ერთ-ერთ ფიგურასთან 30 ქულით დაჯარიმდა. სამხატვრო აკადემიის პირველკურსელი ი. მეძმარიაშვილი (კალინინის რაიონი) უფრო ზუსტი გამოდგა. მან მთელი ტრასა უშეცდომოდ გაიარა და ნაკლები დრო (2.27) დახარჯა, მაგრამ ჩემპიონობა ვერ მოიპოვა.

ტურნირში უძლიერესის სახელი ხვდა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტს ნ. მაღლაკელიძეს (ლენინის რაიონი), რომელმაც ათივე ფიგურის უშეცდომოდ გავლას 1 წუთი და 56 წამი მოანდომა. აღსანიშნავია, რომ სამივე მოყვარულს შეჯიბრებისთვის მწვრთნელი რ. მაისურაძე ამზადებდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ლენინის რაიონის ნაკრებმა, II ადგილზეა საქარხნო რაიონის კოლექტივი, III — 26 კომისრის რაიონის გუნდი.

მ. როგავა.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

თამაშობენ ენგურჰესელები

ენგურჰესის მშენებლობის თანამშრომლებმა ამას წინათ ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში გუნდური პირველობები გამართეს.

ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში, რომელშიც 9 კოლექტივი მონაწილეობდა, I ადგილზე კამხალმშენის სამმართველოს სპორტსმენები გავიდნენ. II ადგილზე არიან საქენერგეტიკისა და ჰიდრომშენებლობის ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, III — მშენებლობის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები.

მოჭადრაკეთა ტურნირში პირველობა არავის დაუთმო დამხმარე საწარმოთა გაერთიანების კოლექტივმა. II ადგილზე არიან ენგურჰესის მთავარი სამმართველოს მოთამაშეები.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

რისკის საზღაური

ვისაც თუნდაც ერთხელ უნახავს ავტომრბოლელთა შეჯიბრება, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება ეს მიმზიდველი, ეფექტური სანახაობა. მაგრამ, რბოლაც არის და რბოლაც. სულ სხვაა მოყვარულთა შეჯიბრება და სულ სხვა — პროფესიონალთა ასპარეზობა. პროფესიულ ავტოსპორტში სისასტიკისა და მოგების კულტი მეფობს.

კალეიდოსკოპი ფერად-ფერადი სარბოლი ავტომანქანებისა, ველური ღრიალით, გაშმაგებული რომ დაქრიან ტრასაზე, მართლაც ფანტასტიკური, შეუდარებელი სანახაობაა. ეს დაბალი მანქანები, უზომოდ დიდი საბურავები რომ აქვთ, ნახევარ ტონაზე მეტს იწონიან. წონის დიდი ნაწილი ძრავაზე და საწვავის მარაგზე მოდის. ცენტრში ზის მრბოლელი, რომელსაც უთუოდ არაადამიანურად სწრაფი რეაქცია უნდა ჰქონდეს, რადგან საათში სამას კილომეტრამდე სისწრაფით რბოლის დროს თუნუქის, ლითონისა და ბენზინის ამ მასის მართვა ჩვეულებრივი შოფრისთვის აუხდენელი ოცნებაა.

შვეიცარიელი მრბოლელი კლეი რეგაცონი ალისფერი „ფერარით“ ტექნიკურ ბოქსს უახლოვდება. მაღალოქტავიანი ბენზინის ავზი ზედ მის თავზეა. მექანიკოსები მანქანისკენ გამორბიან. სანამ ერთი ზეთის ტუმბოს ცვლის, სხვები ავზში საწვავს ასხამენ. ჩქარა, ჩქარა! — ადგილების განაწილებისას ყოველი წამი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს!

მრბოლელებს აზბესტით გაჟღენთილი ცეცხლგამძლე კოსტიუმები აცვიათ, მაგრამ რეგაცონი მაინც უკმაყოფილოდ აქნევს თავს, როცა გრძნობს, რომ უკან ჩაფხუტზე ბენზინის წვეთები ეცემა. მრავლისმნახველი რეპორტიორი, წინდახედულად მოშორებით რომ დაუკავებია „უსაფრთხო პოზიცია“, ღიმილით იღებს სანთებელას და მრბოლელს უჩვენებს. კლეიც იღიმება და ხელს უქნევს.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი მთელ ტრასაზე გაისმის დიქტორის ხმა: „მანქანა მეათე ნომრით შეჯიბრებას გამოეთიშა. ესაა რეგაცონის „ფერარი“. მანქანა თითქმის მთლიანად დაიწვა, მაგრამ მრბოლელი იოლად გადარჩა: ცოტა ზურგი დაეწვა და ახლა სასწრაფო დახმარების კარეტა ჰოსპიტალში გადაიყვანს...“

არაფერი არ იცვლება. რბოლა გრძელდება. ფოტორეპორტიორი, კლეის რომ უღიმოდა, ახლა თავქუდმოგლეჯილი გარბის თავისი მანქანისკენ, რათა შვეიცარიაში რაც შეიძლება სწრაფად გადასცეს ტელეფოტო, რომელზეც ავტომექანიკოსის დაუდევარი მუშაობა აქვს აღბეჭდილი. ჩაფხუტზე დაცემულმა ბენზინის ამ რამდენიმე წვეთმა კინაღამ დაღუპა მრბოლელი.

თანამედროვე ავტორბოლები რომის არენაზე გამართულ სისხლიან ბრძოლებს ჰგავს, თავად მრბოლელებს კი გლადიატორები უფრო შეიძლება ვუწოდოთ, ვიდრე სპორტსმენები. ისინი ყოველ წამს სიკვდილს ელიან. საკმარისია საათში სანასი კილომეტრი სიჩქარით მიმავალი მანქანა ტრასას ასცდეს, რომ მრბოლელის სიცოცხლეს ვეღარაფერი იხსნის!

ერთხელ ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა იოხენ რინდტმა თქვა: „ვიცი, „ბრებჰემი“ რომ არ მიმეტოვებინა, მეტი შანსი მექნებოდა ცოცხლებში დარჩენისა. მაგრამ მე მინდა მსოფლიო ჩემპიონი გავხდე. „ბრებჰემის“ კლასის მანქანები, რასაკვირველია, უფრო საიმედოა და სისწრაფეც ნაკლები აქვთ, მაგრამ მე რისკი უნდა გავწიო. მირჩევნია რისკზე წავიდე, ვიდრე ვუცადო, როდის დატოვებენ სხვები ტრასას გაფუჭებული მანქანის მიზეზით. ასე რომ, ან გამარჯვება, ან...“

ეს მეორე „ან“ მისთვის საბედისწერო გამოდგა. როცა „ლოტუსის“ კლასში გადადიოდა, მან მშვენივრად იცოდა, რომ საფრთხე იქ მეტი იყო. ბოლო წლებში ავარიების უმეტესობა სწორედ ამ კლასის მანქანებზე მოდიოდა. თხუთმეტ მანქანას გაუტყდა საკიდარი, ექვსს ბორბალი მოსძვრა. „ლოტუსის“ შეფმა კოლინ ჩეპმენმა შავარშიაშემოვლებულ სიაში ჩაწერა ჯერ ორი მსოფლიო ჩემპიონი — კლარკი და რინდტი, მერე კი მაიკლ სპენსი. იმ დროისთვის, როცა რინდტს უხაროდა, ბოლოს და ბოლოს მოეცა შესაძლებლობა ჩემპიონი გავხდეო, ჩეპმენმა მისი მანქანის წონა მინიმუმამდე დაიყვანა: რინდტის „ლოტუსი-72“ სულ 515 კილოგრამს იწონიდა!

ბორბლების დგარი ლამის თითის სისქე იყო. სწორედ ამაში იმალება „ლოტუსების“ ავარიის მიზეზი. მათ ძალიან მსუბუქს აკეთებენ, რადგან ერთადერთი მიზანი ამოძრავებთ — გამარჯვება! ამიტომაც იწვევს ეჭვს მტკიცება, თითქოს ავარიისა და კლარკის სიკვდილის მიზეზი იყო ის დანაშაულებრივი დაუდევრობა, რაც „ლოტუსის“ ფირმის მექანიკოსებმა გამოიჩინეს მისი მანქანის ტექნიკური შემოწმების დროს.

უსაფრთხოების დაცვის მხრივ ვერც „ლოტუსის“ კონკურენტებს აქვთ საქმე უკეთ. იტალიელმა „სისწრაფის მეფემ“, გრაფმა ენცო ფერარიმ სარკასტულად აღწერა თავისი ფირმის მანქანა: „ჩვენ ავიღეთ ძრავა და ზედ ბორბლები დავამაგრეთ!“

კიდევ უფრო ცინიკურად გამოთქვა თავისი მოსაზრებანი ფერდინანდ პორშემ, დასავლეთ გერმანიის უდიდესი საავტომობილო ფირმის დირექტორმა: „ყველაზე უკეთესი სარბოლი მანქანა ისაა, რომელიც ნამსხვრევებად იქცევა უკვე ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ!“

ორი მორალი

იაპონიაში, ფუძის მთის მისადგომებთან მდებარე ავტოდრომზე გამართულ ფინალურ რბოლაში დაიღუპა 24 წლის მასაჰარუ ნაკანო. მაშინ იაპონელ ავტომრბოლელთა პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელი იძულებული გახდა ეთქვა: „ძარის კონსტრუქციის წონის დასაკლებად გაკეთებული მაქინაციები პირველ ყოვლისა მოგების წყურვილითაა ნაკარნახევი: მრბოლელს თავბრუს ახვევს ის თანხა, რომელიც შეუძლია მოგების შემდეგ მიიღოს. ავტორბოლებში მოგების სულისკვეთება მეფობს“.

ავტორბოლები უდიდეს შემოსავალს აძლევს არა მარტო მათს ორგანიზატორებს, არამედ პირველ ყოვლისა იმ საავტომობილო კონცერნების მეპატრონეებსაც, რომელთა მანქანებიც ფინიშთან პირველნი მივლენ: ეს ათმაგად ზრდის მყიდველთა რიცხვს. მართლაც, რა შეიძლება იყოს უკეთესი რეკლამა, ვიდრე რბოლა ავტოდრომზე შეკრებილი ათასობით ადამიანისა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ?

დასავლეთის ილუსტრირებული ჟურნალები აჭრელებულია ავტორბოლებისადმი მიძღვნილი მასალებით. აი, მაგალითად, რას წერდა საფრანგეთის ქალაქ მენში მრავალათასიანი ბრბოს მასობრივი ფსიქოზის შესახებ შვეიცარიის ყოველკვირეული „ილიუსტრირტე“: „მენში ათასობით ადამიანი იყრის თავს რბოლებზე, როგორც სახალხო დღესასწაულზე. ამ ხალხს მოსალოდნელი კატასტროფის ადგილზე სისხლის ნახვა სწყურია“.

რბოლის ამ შემზარავი სისხლიანი „სამკაულის“ ნახვის წყურვილი, სამწუხაროდ, დაუკმაყოფილებელი იშვიათად რჩება. თუ 1923 წელს, როცა მენში ავტორბოლებს დაედო სათავე, რბოლის სისწრაფის საზღვარი საათში 140 კილომეტრი იყო, საშუალო სიჩქარე კი 107,328 კილომეტრი, ახლა ეს ციფრები შესაბამისად საათში 370 და 250 კილომეტრამდე გაიზარდა. ავტომანქანები წრეზე შეუსვენებლივ დაქრიან 24 საათის განმავლობაში.

ბოლო წლებში დაიღუპა ორმოცდაათზე მეტი პროფესიონალი მრბოლელი.

მბრწყინავი, ფერად-ფერადი ავტომანქანები, მომხიბლავ თაყვანისმცემელ ქალთა დასი, გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი, შამპანური და, რასაკვირველია, დოლარების დასტა — ასეთია რისკის საზღაური! მაგრამ „გრან-პრის“ მონაწილე მრბოლელებისთვის ნაცნობია ამ საზღაურის მეორე, ნაკლებ მიმზიდველი მხარეც: გაუთავებელი წვრთნა, მანქანის დეტალური, სკრუპულოზური დათვალიერება, ვიწრო, მოუხერხებელ, გახურებულ კაბინაში ჩაჭედილ სხეულზე ღვარად დადენილი ოფლი, კუჭის მტანჯველი სპაზმები ზედმეტი დაძაბულობისა და სითხის უკმარობისგან, ძრავის გამაყრუებელი ღრიალი, ბენზინის მხუთრი, გახურებული ლითონის სიმხურვალე, ტალახი და მტვერი.

ამ ადამიანებმა იციან თავიანთი შესაძლებლობების ზღვარი. ისინი უკიდურესად თავშეკავებულნი და ფრთხილნი არიან: თუნდაც წამიერი სისუსტე, ზედმეტი აზარტი, უმცირესი შეცდომა მათ სიცოცხლის ფასად უჯდებათ. ისინი ზღაპრულ გასამრჯელოს ღებულობენ, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი სიკვდილის ან დაშავების შემთხვევისთვის სადაზღვევო გადასახადს მიაქვს. ყველა მათგანს ერთი ოცნება აქვს: პირველმა გადაკვეთოს ფინიშის ხაზი. ამავე დროს, არც ერთს არ სურს მისი ვაჟი მრბოლელი გამოვიდეს. ისინი დასავლეთის თანამედროვე ახალგაზრდობის კერპები არიან. ათასობით მიმდევარი ჰყავთ, მაგრამ მათს მიერ დაპყრობილ მწვერვალამდე სამი-ოთხი თუ მიაღწევს: მხოლოდ ის, ვინც დაძლია შიში არაადამიანური სისწრაფის გამო; მხოლოდ ის, ვინც ცოცხალი დარჩა!

შარშან ზაფხულში მსოფლიოს ბევრმა გაზეთმა დაბეჭდა ცნობა, რომ ავსტრიის ქალაქ გრაცის საავადმყოფოში გარდაიცვალა ამერიკელი ავტომრბოლელი მარკ დონოჰიუ. იგი უნდა გამოსულიყო მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე, გრაცის რაიონში. შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე, საწვრთნელი მეცადინეობის დროს კატასტროფა მოხდა. დონოჰიუს მანქანას, რომელიც საათში 250 კილომეტრი სისწრაფით მიქროდა, მოსახვევში წინა მარცხენა ბორბალი გაუსკდა. მანქანა რკინა-ბეტონის ზღუდეს შეასკდა, გადააფრინდა მას და ტრასის მახლობლად ლითონის დგამებზე დამაგრებულ სარეკლამო ფარებს შეენარცხა. ამბობენ, რომ მრბოლელმა სწორედ ერთ-ერთ დგამს დაჰკრა თავი. ექიმები 60 საათს იბრძოდნენ მის გადასარჩენად, მაგრამ დონოჰიუმ სული ისე დალია, გონს არ მოსულა.

38 წლის ნიუიორკელი ინჟინერი მარკ დონოჰიუ, რომელმაც თავისი ცხოვრების მანძილზე 49 რბოლა მოიგო, პროფესიონალ მრბოლელთა შორის ვეტერანად ითვლებოდა. ერთი კვირით ადრე ალაბამის რბოლაში მან სისწრაფის რეკორდი დაამყარა დახშულ წრეზე — 353,856 კილომეტრი საათში. საავტომობილო ფირმებმა, რომელთა პროდუქციასაც დონოჰიუ უწევდა რეკლამას, მრბოლელი დიდი ამბით, პირველი თანრიგის მიხედვით დაკრძალეს. მაგრამ ამ დაკრძალვას ალბათ მეათასედიც არ დასჭირდა იმ გიგანტური მოგებისა, რასაც იგივე ფირმები დონოჰიუს წყალობით იღებდნენ.

ვ. შტეინბახი.

(„ნედელია“).

• • •

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ ამერიკელ მრბოლელს მარკ დონოჰიუს, რომელიც სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრეა გადაღებული. ვინ იფიქრებდა, რომ ნახევარი საათის შემდეგ მისი სარბოლი ავტომანქანა ჯართად გადაიქცეოდა (ქვედა ფოტო), თვით მრბოლელი კი სიცოცხლეს გამოეთხოვებოდა.



მოსკოვი — კიევი — მონრეალი

გუშინ მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ამ ტურნირის მნიშვნელობა მეტად დიდია. შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჯერ ევროპის ჩემპიონატში (კიევი), მერე კი — ოლიმპიურ ტურნირში (მონრეალი).

სსრ კავშირის ბოლო ჩემპიონატში, რომელიც შარშან კიშინიოვში საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა, დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ძიუდოისტებმა. მათ გუნდური I ადგილი დაიკავეს. ცალკეულ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ნ. სოლოდუხინი, ვ. ნევზოროვი, ა. ვოლოსოვი (ყველა — რსფსრ), რ. ხარშილაძე (საქართველო), ს. ნოვიკოვი (უკრაინა) და ჯ. ნიჟარაძე (საქართველო). ჩვენი რესპუბლიკის ათლეტებმა სხვა ჯილდოებიც მოიპოვეს. მაგალითად, ჯ. ნიჟარაძე ვერცხლის მედლის მფლობელიც გახდა, ხოლო შ. ფიცხელაურმა, დ. ხაბულიანმა, თ. ხუბულურმა, გ. ონაშვილმა და შ. ჩოჩიშვილმა ბრინჯაოს ჯილდოები მიიღეს.

შარშანვე ვენაში ჩატარდა ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელმაც დაარღვია იაპონელთა ტრადიციული ჰეგემონია მსოფლიოს სარბიელზე. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით საბჭოთა ათლეტს ვ. ნევზოროვს და ფრანგ ჟ. ლ. რუჟეს. მათ შეარყიეს იაპონელთა ბატონობა ქვესაშუალო და ქვემძიმე წონებში და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს. სხვა წონებში ოქროს მედლები ძიუდოს ფუძემდებლებს ხვდათ: ი. მინამის (მსუბუქი), ს. ფუძის (საშუალო), ს. ენდოს (მძიმე) და ხ. უემურას (აბსოლუტური).

ვენის სარბიელზე თავი გამოიჩინეს სხვა საბჭოთა ათლეტებმაც. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ გ. დვოინიკოვი, რომელმაც ქვესაშუალო წონაში ვერცხლის ჯილდო მიიღო. ასეთივე წარმატება ხვდა წილად ს. ნოვიკოვს (მძიმე წონა). ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები გადაეცათ რ. ხარშილაძეს, ვ. ბეთანოვს (ორივე — ქვემძიმე წონა) და შ. ჩოჩიშვილს (აბსოლუტური).

საკავშირო ჩემპიონატი ტრადიციულად ქვემძიმე და მძიმე წონის ათლეტებმა გახსნეს. გუშინ, გვიან ღამით განაწილდა მედლების კომპლექტები ამ წონებში. დღეს ერთმანეთს ხვდებიან საშუალო და ქვესაშუალო წონების ძიუდოისტები, ხოლო ხვალ გადაწყდება გამარჯვების საკითხი მსუბუქ და აბსოლუტურ წონითს კატეგორიებში.

ახალი ამბები — 76

● **მურმანსკი, 22 მარტი.** ბურთიან ჰოკეიში აქ გამართული საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში მოსკოვის „დინამომ“ უკვე ქვეყნის ჩემპიონის რანგში ანგარიშით 6:1 დაამარცხა ადგილობრივი „სევერონიკელი“.

● **მოსკოვი, 22 მარტი.** სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა უფროსი მწვრთნელის ბ. კულაგინისა და მისი თანაშემწეების კ. ლოკტევისა და ვ. იურზინოვის ხელმძღვანელობით დაიწყო საგანგებო მზადება მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატისთვის (კატოვიცე, 8-25 აპრილი). გუნდის შემადგენლობაში არიან მეკარეები ტრეტიაკი და სიდელნიკოვი, მცველები ციგანკოვი, ლუტჩენკო, გუსევი, ლიაპკინი, ვასილიევი, გ. ფილიპოვი, ბაბინოვი და ტიურინი, თავდამსხმელები შალიმოვი, შადრინი, იაკუშევი, მიხაილოვი, პეტროვი, ხარლამოვი, ჟლუკტოვი, მალცევი, კაპუსტინი, ლებედევი, ა. და ვ. გოლიკოვები.

● *კრასნოიარსკი, 22 მარტი. ადგილობრივ გიგანტურ ტრამპლინზე დამთავრდა სსრ კავშირის 11 ჩემპიონატი თხილამურებით ფრენაში. ოქროს მედალი მოიპოვა 23 წლის ლენინგრადელმა არმიელმა ი. კალინინმა, რომელმაც ამავე დროს გაიმეორა მოსკოველი დ. აბრამოვის მიერ დამყარებული კრასნოიარსკის ტრამპლინის რეკორდი — 138 მ.*

დასკვნები არ გაუკეთებიათ

დასასრული

ხნო რაიონის კროსმენებმა — 8, 1 მაისის, კალინინის, ოქტომბრისა და ლენინის რაიონების წარმომადგენლებმა — თითო. 3000 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში მარტო ერთი პრიზიორი იყო — ე. სუდაკოვსკაია (ორჯონიკიძის რაიონი — 14.36). სხვები წესის დარღვევისთვის ასპარეზობიდან მოიხსნენ.

ამით პრიზიორთა გარჯას და მონდომებას სულაც არ გვინდა ჩრდილი მივაყენოთ. ისინი და კიდევ რამდენიმე სპორტსმენი სტარტიდან ფინიშამდე თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ აშკარად ეტყობოდათ, რომ გაწვრთნილობა აკლდათ. ეს კი პირველ ყოვლისა მათი მწვრთნელების ბრალია.

საკავშირო კროსის ფინალამდე, რომელიც 4 აპრილს ბაქოში გაიმართება, ძალიან ცოტა დროა და მწვრთნელებმა იგი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ.

ო. გელაშვილი.

ტექნიკური შედეგები

გოგონები. 1000 მ. ა. ოტსტავნოვა — 3.39,0, ნ. კოსტინა — 3.39,8, ე. ბაგაური (ყველა — საქარხნო რაიონი) — 3.40,9. **ქალიშვილები.** 2000 მ. ტ. მიასოედოვა (ორჯონიკიძის რაიონი) — 7.44,0, ნ. ტუაევა (საქარხნო რაიონი) — 8.02,0, მ. გვრიტიშვილი (პირველი მაისის რაიონი) — 8.09,0. **ქალები.** 2000 მ. დ. გაბადაური (ლენინის რაიონი) — — 9.40,0, ა. ბრეგვაძე (ორჯონიკიძის რაიონი) — 10.11,0, მ. ღარიბაშვილი — (ოქტომბრის რაიონი) — 10.52,0. **ჭაბუკები.** 3000 მ. ლ. ტერსენოვი — 9.53,0, ი. ტკაჩენკო (ორივე — საქარხნო რაიონი) — 9.54,0, ა. პოლეი (ორჯონიკიძის რაიონი) — 9.57,0. **იუნიორები.** 3000 მ. ი. ციგულაევი — 9.01,0, ი. მიაგკოვი — 9.04,0, ვ. ფიოდოროვი — 9.09,9. 5000 მ. ს. სკორობოგატოვი — 16.57,0, ვ. პინჩუკი (ყველა — ორჯონიკიძის რაიონი) — 17.21,4, თ. მათიაშვილი (კალინინის რაიონი) — 17.57,0. **ვაჟები.** 8000 მ. მ. შაპოვალოვი — 26.16,4, გ. ბურძენიძე (ორივე — ორჯონიკიძის რაიონი) — 26.23,6, ა. გერცვოლფი (საქარხნო რაიონი) — 26.55,0, 14000 მ. გ. ჩოჩიშვილი — 47.45,6, ი. სიბოშვილი (ორივე — ორჯონიკიძის რაიონი) — 48.11,8, ი. დელა-როსა (საქარხნო რაიონი) — 49.43,0.

გუნდური. ორჯონიკიძის რაიონი — 126 საჯარიმო ქულა, საქარხნო რაიონი — 481, 26 კომისრის რაიონი — 489.

• • •

გუნდურ ჩათვლაში შედის, აგრეთვე, შედეგები 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში შეჯიბრებისა, რომელიც იმავე დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა. საპრიზო ადგილები მოიპოვეს ა. ბერიძემ (ლენინის რაიონი) — 46.50,0, ვ. სანიკიძემ — 47.45,0, ზ. ჰუსაინოვმა (ორივე — ორჯონიკიძის რაიონი) — 48.44,0.

უცნაური გადაწყვეტილება

ავსტრალიის ქალაქ ბელმაინის რეგბისტთა კლუბმა, რომელიც „ქანრის კრიზისს“ განიცდის, გადაწყვიტა „ვარიაგის“ დახმარებით გამოასწოროს თავისი საქმეები. ამ გუნდის ხელმძღვანელებს განზრახული აქვთ კლუბის დროებით კონსულტანტად ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიწვიონ... მწვრთნელი ამერიკულ ფეხბურთში ჩაკ ნოქსი.

ნოქსი 43 წლისაა. იგი ორჯერ აღიარეს „ამერიკულ ფეხბურთში წლის საუკეთესო მწვრთნელად“. ჯერჯერობით არც ერთ მხარეს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი, რა შედეგები მოჰყვება ამ კონსულტაციებს. ავსტრალიის კლუბის ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ ამერიკული ფეხბურთის ზოგიერთი ტექნიკური ილეთის გამოყენება რეგბის მინდორზეც შეიძლება.

(საკდესი).

სიდნეი.

ახალი მიღწევა

„შახმატი“ — ასე ეწოდება ლატვიის საჭადრაკო ფედერაციის ყოველთვიურ გამოცემას, რომელიც 1960 წლიდან ისტამბება რუსულ ენაზე. „შახმატს“ ტრადიციად აქვს თავის ფურცლებზე წლის მანძილზე გამოქვეყნებული ეტიუდების კონკურსის გამართვა. 1976 წლის მე-4 ნომერში შეჯამებულია ჟურნალში 1974 წელს დაბეჭდილი ეტიუდების კონკურსის შედეგები.

კონკურსის მსაჯმა კომპოზიციაში, საერთაშორისო არბიტრმა და ოსტატმა ჟ. იაკიმჩიკმა 32 ეტიუდს შორის I პრიზი მიაკუთვნა დ. გურგენიძის (თბილისი) ნამუშევარს.

აი, ეს ეტიუდიც:

დ. გურგენიძე



თეთრები იგებენ

ამოხსნა: 1. hg ეg2+! 2. მფf1 (2. მფ:g2? ე:h2+ 3. მფ:h2 კ:f7! 4. fg მფ:f7 5. მ:d7 b3 შავების მოგებით) 2. ... ეf2+ 3. მფe1 ეe2+ 4. მფd1 ეd2+ 5. მფc1 ეc2+ 6. მფb1 ეb2+ 7. მფa1 ე:a2+ 8. მფb1 ეb2+ 9. მფc1 ეc2+ 10. მფd1 ეd2+ 11. მფe1 ეe2+ 12. მფf1 ეf2+ 13. მფg1 ეg2+ 14. მფ:g2 ე:h2+ 15. მფ:h2 კ:f7 16. gf მფ:f7 17. მ:d7 b3 18. მe5+ (ახლა მხედარი აკავებს გამსვლელ პაიკს) 18. ... მფ:g7 19. მc4 b2 20. მa3 მოგებით.

„შთამბეჭდავი მიგნება! თეთრი მეფის ლამაზი, პარადოქსული მანევრი a2 პაიკის თავიდან მოსაშორებლად გვარიგებს პირველ სვლაზე „ძლიერ“ აღებასთან“, — წერს იაკიმჩიკი.

III პრიზი ხვდა საერთაშორისო ოსტატ გ. ნადარეიშვილის (თბილისი) ეტიუდს. ეს ნაწარმოები 1975 წელს „ლელოს“ 23 თებერვლის ნომერშია დაბეჭდილი.

I საპატიო შეფასება დაიმსახურა საერთაშორისო ოსტატ ი. კრიხელის (გორი) ნამუშევარმა, II — ვ. სერედას (თბილისი) ეტიუდმა.

ვ. კალანდაძისა და დ. გურგენიძის (ორივე — თბილისი) კოლექტიურმა ეტიუდმა III საქები შეფასება დაიმსახურა.

სასიამოვნოა, რომ საქართველოს ეტიუდისტებმა კიდევ ერთხელ მოიპოვეს თვალსაჩინო აღიარება.

თ. გიორგაძე.

წერილებით მსოფლიო პირველობაზე

სტარტი აიღო მსოფლიოს VIII პირველობამ მიწერ-მოწერით თამაშში. ტურნირში, რომელიც სამ წელიწადს გასტანს, მონაწილეობენ საერთაშორისო დიდოსტატები (ამ თამაშში) — მსოფლიო ჩემპიონი ი. ესტრინი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. ზაგოროვსკი (ორივე — სსრ კავშირი), ე. არნლინდი (შვეცია), გ. დიუნჰაუპტი (გფრ), საერთაშორისო ოსტატები — ევროპის ჩემპიონი ი. სლოტი (დანია), მსოფლიოს VII ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ი. ბოიე (ბელგია); ოსტატები ლ. აბრამოვი, მ. კლეცელი, ვ. კოწენკოვი, ა. ხასინი (ყველა — სსრ კავშირი), ი. ნუნი (ჩეხოსლოვაკია), ი. მადლერი (გდრ), გ. დე კარბონელი (გფრ), ე. ვალტერი (შვეიცარია), ა. სიკლოსი (კანადა).

ფიდე-მ დაასახელა

ფიდე-მ დაასახელა ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირების მონაწილეთა შემადგენლობა. ეს ტურნირები ზაფხულში უნდა გაიმართოს ფილიპინებსა და შვეიცარიაში. ჯერჯერობით თითოეული ტურნირისთვის დასახელებულია 19 კაცი, თუმცა შეჯიბრებებში ოც-ოცი მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. ორი ვაკანტური ადგილის მფლობელებს დამატებითი შეჯიბრება გამოავლენს.

ფილიპინების ტურნირში ითამაშებენ: დიდოსტატები ბ. სპასკი, ლ. პოლუგაევსკი, ვ. ცეშკოვსკი, ი. ბალაშოვი (ყველა — სსრ კავშირი), ე. მეკინგი (ბრაზილია), ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ზ. რიბლი ი. ჩომი (ორივე — უნგრეთი), ვ. გეორგიუ (რუმინეთი), უ. ბრაუნი (აშშ), ე. ტორე (ფილიპინები), ო. პანო, მ. კინტეროსი (ორივე — არგენტინა) და სხვ.

შვეიცარიაში გაემგზავრებიან: დიდოსტატები ტ. პეტროსიანი, ე. გელერი, მ. ტალი, გ. კუზმინი (ყველა — სსრ კავშირი), ლ. პორტიში (უნგრეთი), ბ. ლარსენი (დანია), რ. ჰიუბნერი (გფრ), უ. ანდერსონი (შვეცია), რ. ბირნი (აშშ), ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია), რ. სანგინეტი (არგენტინა), საერთაშორისო ოსტატი ბ. გულკო (სსრ კავშირი) და სხვ.

თითოეულ ტურნირში პირველ სამ ადგილზე გასულები ბრძოლას განაგრძობენ პრეტენდენტთა შეჯიბრებაში. აქ თამაშის პერსონალური უფლება აქვთ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს რ. ფიშერსა (აშშ) და წინა ციკლის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეს ვ. კორჩნოის (სსრ კავშირი).

ახალი დიდოსტატები

საკავშირო სპორტკომიტეტმა სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება მიანიჭა ბორის გულკოს („ბურევესტნიკი“, მოსკოვი) და ვიტალი ცეშკოვსკის („ტრუდი“, ომსკი). შარშან ფიდე-მ ცეშკოვსკის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა. გულკოსთვის საერთაშორისო დიდოსტატის მინიჭების საკითხს ფიდე თავის უახლოეს კონგრესზე განიხილავს.

ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

უცხოეთის
ფეხბურთის
ამბები

ბელგია

ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ თავის მინდორზე ვან ბინსტის ერთადერთი გოლის წყალობით სძლია გათამაშების ლიდერს „ფკ ბრიუგეს“ — 1:0. კომენტატორთა აზრით, XXVIII ტური ერთობ უფერული იყო: 9 შეხვედრაში სულ 12 გოლი გავიდა. მხოლოდ ერთი შეხვედრა დამთავრდა დიდი ანგარიშით — ლიეჟში „სტანდარდმა“ სძლია „ანტვერპენს“ — 4:0.

38 ქულით კვლავ ლიდერობს „ფკ ბრიუჟი“. „ანდერლეხტი“ 34 ქულით II ადგილზეა, ხოლო „ლოკერენი“ 33 ქულით — III.

პორტუგალია

ჩემპიონმა და ლიდერმა — ლისაბონის „ბენფიკამ“ სტუმრად ანგარიშით 4:0 მოუგო „ესტორილს“ და 40 ქულით ლიდერობს.

ჰოლანდია

XXIII ტურში ჩემპიონმა „ფშვ ეინდჰოვენმა“ სტუმრად სძლია „როდას“ — 1:0. ამსტერდამში „აიაქსმა“ მოუგო „ამსტერდამს“ — 2:0, ხოლო ველზენში როტერდამის „ფეიენოორდმა“ ადგილობრივ „ტელსტარს“ აჯობა — 2:1.

სამივე ლიდერს: „ფშვ ეინდჰოვენს“, ამსტერდამის „აიაქსს“ და როტერდამის „ფეიენოორდს“ 35-35 ქულა აქვთ.

ავსტრია

21 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასეთია:

	თ.	ბ.	ქ.
„ავსტრია“ (ვენა)	21	45:13	30
„სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი)	21	44:21	30
„რაპიდი“ (ვენა)	21	28:17	25

გდრ

გათამაშების ლიდერმა — დრეზდენის „დინამომ“ ლაიპციგში ფრედ (1:1) ითამაშა ადგილობრივ „ქემისთან“. ანგარიში ლაიპციგელმა ლიშკემ გახსნა, მაგრამ სტუმართა ნახევარმცველმა დიორნერმა თანაფარდობა აღადგინა.

„მაგდებურგმა“ შინ აჯობა კოტბუსის „ენერგის“ — 3:0.

„დინამო“ (დრეზდენი)	19	51:21	30
„მაგდებურგი“	19	42:23	26
„კარლ ცაისი“ (იენა)	19	39:24	25

უნგრეთი

ლიდერმა — ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ თავის მინდორზე პუსტაის ერთადერთი ბურთის წყალობით სძლია ბოლო ადგილზე მყოფ „სეგედს“ — 1:0. ერთ-ერთმა ლიდერმა — სეკეშფეჰერვარის „ვიდეოტონმა“ ასევე მინიმალური ანგარიშით შინ აჯობა „კაპოშვარს“.

ჩემპიონმა — ბუდაპეშტის „უიპეშტ დოჟამ“ დიერში ფრეს მიაღწია „დიოშდიერთან“ — 2:2.

დანარჩენი შედეგები: „ჰალადაში“ (სომბათჰეი) — „ბეკეშჩაბა“ 0:0, „რაბა ეტო“ — „ჩეპელი“ 3:2, „ტატაბანია“ — „ზალაეგერსეგი“ 1:1, „ჰონვედი“ (ბუდაპეშტი) — მტკ (ბუდაპეშტი) 2:1, „ვაშაში“ (ბუდაპეშტი) — „შალგოტარიანი“ 1:1.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფერენცვარ.“	17	13	3	1	37:14	29
„ვიდეოტონი“	17	11	3	3	35:14	25
„უიპეშტ დოჟა“	17	11	3	3	39;22	25
„ჰონვედი“	17	9	5	3	32:20	23

პოლონეთი

მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა ვროცლავში ადგილობრივ „შლიონსკსა“ და ჩემპიონს — ხორჟუვის „რუხს“ შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა — 4:2. ჩემპიონმა წააგო პირველი ტაიმი (0:2), მაგრამ შესვენების შემდეგ კოპიცერამ, ბენიგიერმა (2) და ბონმა ოთხი საპასუხო გოლი გაიტანეს.

ზაბჟეში ადგილობრივმა „გურნიკმა“ სძლია ლოძის „ვიძევს“ — 2:0. გოლები გაიტანეს შარმახმა და პოპოვიჩმა.

დანარჩენი შედეგები: „ლეგია“ (ვარშავა) — „სტალი“ (მელეცი) 1:1, „შომბიერკი“ (ბიტომი) — გკს (ტიხი) 0:2, „ზაგლემბიე“ (სოსნოვეცი) — „ვისლა“ (კრაკოვი) 2:0, როვ (რიბნიკი) — „სტალი“ (ჟეშუვი) 1:0, ლკს (ლოძი) — „ლეხი“ (პოზნანი) 0:0, „პოგონი“ (შჩეცინი) — „პოლონია“ (ბიტომი) 1:1.

	თ.	ბ.	ქ.
„რუხი“	18	27:15	25
გკს	18	25:18	25
„სტალი“	18	27:15	22
„პოგონი“	18	32:21	21

ბულგარეთი

მორიგ ტურში „მინიორმა“ შინ ფრედ ითამაშა ლიდერთან — სოფიის „ლევსკი-სპარტაკთან“ 1:1. ჩემპიონმა ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ“ (სოფია) სტუმრად ფრეს მიაღწია ბლაგოევგრადის „პირინთან“ — 1:1. სოფიის „ლოკომოტივმა“ თავის მინდორზე დაამარცხა „სლივენი“ — 4:0. სტარა ზაგორაში რუსეს „დუნავმა“ ადგილობრივ „ბეროეს“ აჯობა — 1:0. გოლი გაიტანა ხრისტოვმა.

დანარჩენი შედეგები: „სპარტაკი“ (პლევენი) — „ბოტევი“ 3:1, „სპარტაკი“ (ვარნა) — „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) 2:3, „თრაკია“ (პლოვდივი) — „ჩერნო მორე“ 0:0.

საუკეთესო სნაიპერია ხრისტოვი („დუნავი“) — 12 გოლი. პეტკოვს („ბეროე“) 11 გოლი აქვს გატანილი.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლევსკი-სპარტაკი“	18	9	7	2	32:21	25
ცსკა-„სეპტემვრ. ზნამე“	18	9	6	3	30:18	24
„აკადემიკი“ (სოფია)	18	8	5	5	20:15	21

ჩეხოსლოვაკია

20 ტურის შემდეგ ლიდერობს ბრატისლავის „სლოვანი“.

ლიდერთა ჯგუფი:

„სლოვანი“	20	10	3	7	37:17	23
„დუკლა“ (პრაღა)	20	10	3	7	34:24	23
„სლავია“ (პრაღა)	20	10	3	7	33:24	23
„კომიცე“	20	10	2	8	41:29	22

(საკ. ინფ.).

„... გვსურს ეს საქმით დავამტკიცოთ“

ინგლისის ქალთა ფეხბურთის ასოციაციის მდივანმა, ქალბატონმა პატ გრეგორიმ განაცხადა, რომ ქვეყნის ბევრ არბიტრ ქალს სურს იმსაჯოს ვაჟთა შეხვედრებში. „ჩვენ, ქალები, გონებაშეზღუდულები არა ვართ, — განაცხადა გრეგორიმ, — გვაქვს საკმარისი ნიჭი ჩავწვდეთ თამაშის წესებს და გამოვიყენოთ ისინი, მაგრამ გვსურს ეს საქმით დავამტკიცოთ“.

საყურადღებოა, რომ ინგლისში ქალებს ჯერ არ უმსაჯიათ მამაკაცთა შეხვედრებში, მაგრამ ქ-ნი გრეგორიც და ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის მდივანი ტედ კროკერიც ფიქრობენ, რომ მომავალში ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია.

რეკორდები

ალმა-ათა, 22 მარტი. მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრება სსრ კავშირის, ნორვეგიისა და ჰოლანდიის მოციგურავეთა შორის დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვებით, რომლებმაც 408 ქულა დააგროვეს. II ადგილზე არიან ჰოლანდიელები (296 ქულა), ხოლო III — ნორვეგიელები (278).

მედეოს სარბიელმა კიდევ ერთხელ „გამოიჩინა თავი“, როგორც რეკორდების სამჭედლომ: მოასპარეზეებმა სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ესენი არიან ლენინგრადელი ე. კულიკოვი (1000 მ — 1.15,70, სპრინტერული მრავალჭიდი — 151,190 ქულა) და ნორვეგიელი ს. სტენსენი (10000 მ — 14.38,08).

10000 მეტრზე ციგურებით სწრაფრბენაში უფელმა ვ. ვარლამოვმა საკავშირო რეკორდი დაამყარა — 14.50,06. სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა, აგრეთვე, მოსკოველმა ს. მარჩუკმა: კლასიკური მრავალჭიდის ჯამში მისი შედეგია 167,710 ქულა.

გიწვევთ სპორტის სასახლე

25 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება რესპუბლიკური გათამაშება მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 1964-65 წლებში დაბადებული ბავშვები. ამ საინტერესო, ტრადიციულ შეჯიბრებაში გამოვლენ ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის, გორის, რუსთავის, მახარაძის, ზუგდიდის, ტყიბულის, ჭიათურის, გუდაუთის გუნდები, ხოლო თბილისიდან ითამაშებენ განათლების განყოფილების სპორტსკოლის, ნორჩი დინამოელის, „ავაზას“, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და „განთიადის“ სპეციალიზებული სკოლის კოლექტივები.

შეხვედრები, რომლებსაც მოემსახურებიან მაღალი კვალიფიკაციის მსაჯები, ტარდება ყოველდღე, 9 საათიდან.

საუკეთესო გუნდებისა და მოთამაშეებისთვის დაწესებულია სპეციალური პრიზები, ხოლო გამარჯვებული კოლექტივი მიიღებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალ თასს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 684..

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 08755